

უფროსების როლი ბავშვის პიროვნების

ფორმირების პროცესში

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ჰარმონიული პიროვნების აღზრდა. ჰარმონიულ პიროვნებაში მოიაზრება მისი შესაძლებლობების სრულყოფილი განვითარება, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში ბავშვის პიროვნულ რეალიზაციას.

ბავშვის შესაძლებლობებში კი შედის, როგორც ინტელექტუალური, ისე ფიზიკური და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება. სწორედ აქ არის საჭირო უფროსების მხრიდან ბავშვისადმი ფრთხილი და ზომიერი დამოკიდებულება. ყოველივე ეს ისე უნდა მოხდეს, რომ ბავშვი არ იყოს სტრესირებული და შენარჩუნებული იქნას მისი ფსიქიკური ჯანმრთელობა.

ფსიქიკურად ჯანმრთელი ბავშვისთვის კი სრულიად შესაძლებელია გარემოსთან ადაპტირება და სიტუაციურად მოქმედების უნარი.

როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ უფროსები, რომ ხელი შეუწყოთ თავდაჯერებული, მიზანმიმართული, სულიერად ძლიერი პიროვნების ჩამოყალიბებას:

- როგორც დ. უზნაძე ამბობდა პედაგოგი არის შუამავალი ბავშვის შესაძლებლობებსა და სასწავლო მასალას შორის. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ბავშვის პიროვნული მახასიათებლების და შესაძლებლობების გათვალისწინება. სწავლების პროცესში ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებლობას ხშირად მივყავართ არა სასურველ შედეგამდე. განსაკუთრებით თუ ეს ბავშვი პასუხისმგებლობით გამოირჩევა. უფროსების მოთხოვნებს დიდი ძალისხმევის შედეგად ასრულებს, რაც მის პიროვნებაზე უარყოფითად აისახება. ბავშვი რომელიც მთელ დღეს სწავლას ანდომებს, ვერ იცლის თანატოლებთან ურთიერთობისთვის, ფიზიკური განვითარებისთვის და იგი ფაქტიურად ერთი მიმართულებით ვითარდება. შედეგად ვღებულობთ ინტელექტუალურ, მაგრამ ზედმეტად ემოციურ ადამიანს, რომელსაც სავარაუდოდ გაუჭირდება გარემოსთან ადაპტაცია და პიროვნული რეალიზაცია.

მასწავლებლები და მშობლები იმ დოზით უნდა აძლევდნენ ბავშვს დავალებას და სთხოვდნენ მის შესრულებას რისი გაკეთების უნარიც აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ბავშვში განვითარდეს არაადეკვატურად დაბალი თვითშეფასება. განცდა იმისა, რომ მას ეს არ შეუძლია, ის სხვებთან შედარებით უუნაროა.

–ფრთხილად უნდა მოვიქცეთ ბავშვის ქცევების შეფასებისას. უნდა შევაფასოთ კონკრეტული ქცევა და არა მთლიანი პიროვნება. ჩვენი შეფასებით ბავშვს უნდა გაუჩნდეს განცდა რომ ჩვენ ის გვიყვარს, მის პიროვნებას პატივს ვცემთ, მაგრამ კონკრეტულად მისი ეს ქმედება დაფიქრებას და გამოსწორებას მოითხოვს.

–ბავშვის ფსიქიკაზე, მის პიროვნულ განვითარებაზე დადებითად აისახება მისი პიროვნული განცდების, შეხედულებების მოსმენა თანაგრძნობა. უფროსი უნდა იყოს აქტიური მსმენელი და პატივს სცემდეს ბავშვის შეხედულებებს, აზრებს, ესმოდეს და თანაუგრძნობდეს მის პიროვნებას. რაც საშუალებას მისცემს ბავშვს მოხდეს მისი ფსიქოლოგიური განტვირთვა.

–ვითანამშრომლოთ ბავშვებთან, გავითვალისწინო მათი ინტერესები, ხშირად ვისაუბროთ მათთვის საინტერესო საკითხებზე, ჩავწვდეთ მათ სულიერ სამყაროს, მოვერიდოთ მუდმივ დარიგებებს, ვეცადოთ მათი ნდობა მოვიპოვოთ და ვიყოთ მათთვის საიმედო საყრდენი.